ცნობის ფურცელი

№ 2118 ხუთშაბათი, 10 აპრილი 1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2118

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—5 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში [illegible] ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირი მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ელისაბედ ლაზარეს ასული, თამარ მიხეილის ასული გიორგი, მიხეილ და ილია მიხეილის ძენი ბენაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 12 აპრილს, გადახდილი იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

ალექსანდრე მიხეილის ძის ბენაშვილის

სულის მოსახსენებლად კუკიის წმ. ნინოს ეკკლესიაში. წირვა დაიწყება 10 საათზე. (2—1)

დეკანოზი **კონსტანტინე კანდელაკი** და **მისი შვილები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 10 აპრილს ამ წლისა 11 საათზე დილისა დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი

მართა კანდელაკისა ყორდანიას ასულის

სულის მოსახსენებლად ლანჩხუთის გამოჩინებულის ეკკლესიაზე. (1—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ბ. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—[illegible] საათამდე.

ნ. ტ. მუღნინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

მ. დ. დამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. ა. [illegible]—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

დ. ი. [illegible].—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების: კვირაობით 10—12.

ნ. მ. ამბარდანოვი—სიფილისის, კანისა და საშარდეს 1—2 საათამდე.

პრ. მ. [illegible]—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვების და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი **ბ. დ. ნახარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში.)

ტელეფონი № 174 (7

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის წევრთა

წლიური კრება

დანიშნულია 1903 წ. 20 აპრილს დილის 10 საათზე, ს. კუხში.

განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება 1902 წლის ანგარიშისა,
2) სარევიზიო კომისიის მოხსენება,
3) შემოღება წარმომადგენელთა საზოგადო კრებისა,
4) გამგეობის მოხსენება მომავალ წლის ოპერაციის შესახებ,
5) სესხის აღების ნება რთვა,
6) დამტკიცება მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვისა და
7) არჩევა გამგეობის ერთის წევრისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

ამხანაგობის გამგეობა:
თავმჯდომარე ბ. მდივანი.
წევრი ერ. კიწმარიშვილი.
გამგე ნ. წერეთელი.
(ნ. 5—6)

წარმოდგენა 47—9. ტელეფონი 617.

ქართული თეატრი

შაბათს, 12 აპრილს, 1903 წ.

◆ იაფ-ფასიანი წარმოდგენა ◆

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

◆ გასილ აბაშიძის მონაწილეობით ◆

✡ დაკლებულის ფასებით ✡

I

პარიზის ღარიბ-ღატაკნი

მელოდრამა 5 მოქმ. დენიერისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი დაკლებულია.

დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „ოტელლო". და სხვ. რეჟისორი **ვ. შუნია.**

ხუთშაბათს, 10 აპრილს, საღამოს 8 საათზე, ვაჟთა 1 ლ გიმნაზიის შენობაში (გოლოვინის პროსპექტიდან) მოხდება

ჩვეულებრივი კრება

მოსკოვის **ხაიმპერატორო** სასოფლო-სამეურნეო(?) საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა. (უ. 1—1)

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. ბორდოში საფრანგეთის მუშათა პარტიის წარმომადგენელთა კონგრესი გაიხსნა. ამ კონგრესზე, სხვათა შორის, უნდა გადაწყდეს მილიერანის საქმეც: განაძევებენ მილიერანს პარტიიდან, თუ ისევ დარჩება? აი ეს კითხვა უნდა გადაწყდეს ეხლა.

მკითხველს ეცოდინება, რომ მილიერანი ვალდეკ-რუსსოს სამინისტროს წევრი იყო. ამ გარემოებამ დიდი განხეთქილება გამოიწვია საფრანგეთის სოციალისტებ შორის: უმრავლესობა ამტკიცებდა, რომ სასარგებლოა თავის კაცის ყოლა სამინისტროში, უმცირესობა-კი მილიერანის გაძევებას თხოულობდა. ამ უმცირესობას შეადგენენ გედისტები და ბლანკისტები. განხეთქილებას და ცხარე კამათს მოჰყვა ერთიან პარტიის ორად გაყოფა, რასაც არა სასურველი შედეგი მოჰყვა: სოციალისტების პარტია ისე ძლიერი არ არის პარლამენტში, როგორც უნდა ყოფილიყო.

სანამ მორიგ საქმეების განხილვას შეუდგებოდნენ, ჟორესმა მოითხოვა, რომ კონგრესს ესურვა გერმანიის სოციალ-დემოკრატიისათვის გამარჯვება მომავალ საპარლამენტო არჩევნებში. მორიგ საქმეებიდან კონგრესი პირველადვე მილიერანის საქმეს შეეხო. ჯერ ილაპარაკეს მილიერანის მოწინააღმდეგეებმა და ბევრი საყვედურიც გააგონეს: რატომ ბურჟუაზიულ სამინისტროში შევიდა, რატომ არ მოითხოვა სარწმუნოებისა (კულტის) და აღმოსავლეთის კათოლიკე მისიების ბიუჯეტის მოსპობა და სხვა.

საპასუხო სიტყვაში მილიერანი დაწვრილებით შეეხო ყველა საბრალმდებლო პუნქტს და, სხვათა შორის, უთქვამს: „თუ თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ პარტიამ დღითი-დღეთ უფრო მეტი მონაწილეობა უნდა მიიღოს ქვეყნის მართვა-გამგეობაში, მაშინ არ გამაძევებთ პარტიიდან, იმიტომ კი არა, რომ მომერიდოთ ან შემიბრალოთ, არამედ იმიტომ, რომ ასეთი გადაწყვეტილება საბედისწერო იქმნება პარტიისათვის.

ფელეტონი

გახუნებულ აზნაურის წერილები

IV

თქვენი მორჩილი მოსამსახურე რაღაც ერთ კვირაში ისეთ გულ-მოდგინე საზოგადო მოღვაწედ გადაიქცა, რომ აღარც ერთის სხდომას არ აკლდება; სადაც-კი ხალხს კრებს არ უხურვენ და სადაც საზოგადო საქმეებზე ლაპარაკობენ უსათუოდ ვესწრობი. ყოველ ამნაირ სხდომიდან მთლად ზნეობით დაქანცული და ჯანით მოშვებული ვბრუნდები შინა, მაგრამ მაინც ვერ ვითმენ, რომ ამ კრებებს არ დავესწრო. ალბად, ესეც გადამდებ სენის მაგვარი რამ ყოფილა. ამ სენსაც, ალბად, საზოგადოებრივობის ჭია ავრცელებს. ეს ჭია მეტად გამძლეა და დიდი სიცოცხლის უნარი აქვს. რა გინდ ძლიერ ცუდ გარემოებაში იყოს, მაინც ვრცელდება და მრავლდება. როცა ნიადაგი და წრე სიცოცხლისა და გამრავლების ნებას არ აძლევენ, ეს ჭია დროებით კვდება და ხორბლის მარცვალივით გაუღვივებელი დევს. მაგრამ რამწამს გარემოება ცოტაოდნად მაინც უმჯობესდება, ჭია მაშინვე სიცოცხლის უნარს იჩენს, მოქმედებას იწყებს და ადამიანთა სულსა და სახეს ცოცხალი აზრის განსაკუთრებულ შუქსა ჰფენს. ამ შუქის წყალობით რაც გინდ მძინარე, რაც გინდ უკმეხი სახე ჰქონდეს კაცსა, მაინც უნათლდება და ლმობიერების ფერი ედება; რაც გინდ კონსერვატიულ ბუნების კაცი იყოს, ამ შუქის წყალობით მაინც მიხვრა მოხვრა უადვილდება და წინმსვლელობის ხალისი ეძლევა.

ჩემ თავზედაც გამოვცადე ესა. ჩემ აზნაურშვილურ კარ-ჩაკეტილ, ვიწრო ფარგლით შემოხაზულ სულში შემოძვრა ეს ჭია, ეს საზოგადოებრივობის ბაცილა და ყველაფერი ყირამალა დააყენა. აქამდე მარტო ჩემის ისტორიულის წარსულის რაღაცა ნაგლეჯებით ვსცხოვრებდი, ცოცხალ თანამედროვე ცხოვრებას ჩემის უხსოვარ დროის წარსულის თვალით ვუცქეროდი; ყველგან, სადაც უნდოდა, თუ არ უნდოდა, ამ ჩემ წარსულ დიდებას, დიდის ხნის მტვერ დადებულ და არქეოლოგიის კუთვნილებად ქცეულ დიდებას ვაჩხირებდი. ჩემის წარსულის კულტურის ნაფლეთებით, მამა-პაპურ უწინდელ ძლიერების ამბებით, ტრაბახა თვით-კმაყოფილებით სავსე საგვარეულო თრაკებით ვცდილობდი ჩემის ეხლანდელ ცხოვრების დიდ ნაკლები წამეგლისა და დამეფარა. ცოცხალი, რეალური სინამდვილე, ნამდვილი ბრძოლა არსებობისათვის ყველა მხრიდან გარს მეხვეოდა, პირდაპირ იერიშით მოდიოდა ჩემზე და ჩამძახოდა: თავი დაიხსენ, იბრძოლე, გაამაგრე შენი ლაფანივით მოშვებული სხეული, გაამაგრე შენი ოდესღაც ძლიერი, მაგრამ ეხლა დასუსტებული სული!" მე კი გულ-ხელ დაკრეფილი ვიჯექ, ამ ნამდვილ ცხოვრებას თვალებში ვუცქეროდი და მხნედ თავის დაცვის მაგიერ, ჯანით და გონებით შრომის მაგიერ, ფარივით წინ ვიმძლავრებდი ჩემ წარსულ ცხოვრებას და ჩემ ნანგრევებს, პლატონ იოსელიანს, ასპინძის ბრძოლას და პაპი-ჩემის ამბავს. პაპა-ჩემი ხომ რკინის ნალს ამტვრევდა თურმე და ყოველ საქმეს მუშტის ძალითა სჭრიდა. ცხოვრება მომძახოდა:

ასპინძის ბრძოლით ამაყობ? დიახაც, სრული უფლება გაქვს მაგ ბრძოლით იამაყო, მაგრამ აბა დაფიქრდი, რომ სრულებით აღარა ჰგეხარ შენს წინაპარს, ასპინძის ბრძოლის გმირს! რად მიეცი ნება შენ სულს, რომ ასე დაცემულიყო? ასე რად მოდუნდა შენი ღონე? განა ბრძოლა არსებობისათვის, ეკონომიური ბრძოლა არაა ღირსი, რომ იმნაირადვე ცხარედ იბრძოლო, როგორც იბრძოდნენ ასპინძის დროს, სადაც შენმა წინაპარმა თავი დასდო? მაშ გადააგდე იქით პირ-დამტვრეული პაპის ხმალი. ამ ხმალმა სინიდისიერად იმსახურა, ასპინძის ბრძოლაც მოიგო, მაგრამ ჩემთაან ბრძოლაში სრულიად გამოუსადეგარია შენთვის და სრულიად უვნებელია ჩემთვის. თავი დაიფარე, თორემ დაიღუპები!

ცხოვრება მართალია! რა საქმე აქვს ჩემ დიდებულ წარსულთან, როდესაც ამ ჟამად წინ უდგას ცხოვრების ბრძოლისათვის მოუმზადებელი, ამ წარსულ დიდების ნაგლეჯი და სუსტი შთამომავალი? ყველგან ბრძოლის ველზე ცხოვრება ნაპირას მრიყავდა, მლახავდა და გულს მიტეხდა. ყველგან სხვები მჯაბნიდნენ; მჯაბნიდნენ ისინი, ვისაც ცხოვრების ალღო უფრო ჰქონდათ აღებული, ცხოვრებისათვის უფრო შესაფერისის იარაღით იყვნენ აღჭურვილნი და ღონეც ბრძოლისაგან უფრო გამაგრებული ჰქონდათ. ყოველთვის როდესაც ცხოვრება მჯაბნიდა, იმის მაგიერ რომ ყოჩაღად ფეხზე წამომხტარიყავ, ბრძოლა განმეგრძო და წინ წავსულიყავ, მე წოლისა და ნაცემ გვერდების ფხანვას ვრჩებოდი და ამ ნაირ ბუტბუტს მოვყვებოდი:

რა გამოვიდა; ეგ უპატიოსნო ბრძოლაა, უსინიდისო ქამანდია, ეგ ყარაბაღული თვალ-მაქცობაა, სომხური გაიძვერობაა; ეგ ქამანდი ჩვენგანვე ნასწავლი სარმაა; განა მე კი არ შემეძლო მაგ ქამანდის ხმარება! აი ამისთანა უბრალო ლაპარაკს ვალევდი დროს. ცხოვრება და უფრო მხნე და გაჩვეული ხალხი სარგებლობდნენ ამ დროთი და უფრო და უფრო წინ მიდიოდნენ.

მე კი ყველაფერში უკან ვრჩებოდი. ჩემი ღონიერი მკლავები თან-და-თან მჩვარივით ხდებოდა, ჩემ ძალას სულ რაღაც უბრალო ჩხირ-კედელაობას, რაღაც სასაცილო აზნაურშვილურ ყოყოჩობას, შაურიან საჩუქრების თხოვნას და ლაქიობას ვალევდი.

მაგრამ ჩემ სულშიაც გაჩნდა საზოგადოებრივობის ჭია და შიგ ყველაფერი ყირამალა დააყენა. ამ სენის პირველი ნიშანი ის იყო, რომ ცხადად შევიგნე ჩემის აზნაურშვილურ აზრების არარაობა. უზომო ამაყობით და აზნაურშვილურ მედიდურობით გატენილ თავში დამებადა ანალიტიკური აზრი და მუშაობა დაიწყო. ამ კრიტიკულმა აზრმა თან-და-თან სულ დაანგრია და შემუსრა ჩემის ცხოვრების ოქროთი მოვარაყებული კერპები. მივიხედ-მოვიხედე და გარეშემო ცხოვ-

მე სხვა ქვეყნების მაგალითზე მითითებენ, მაგრამ თუ მთელი ქვეყნის პროლეტარიატს მხოლოდ ერთი დოქტრინა აქვს, ისიც აუცილებელია, რომ ყოველ პოლიტიკურ რეჟიმს თავისებური ტაქტიკა შეეფერება. საფრანგეთში სოციალიზმს შეუძლია და მოვალეც არის იგი მიიღოს თავზე ქვეყნის მართვა გამგეობის პასუხის გება. საფრანგეთის სოციალისტური პარტია უნდა იქმნეს ეროვნული პარტია ამ სიტყვის ვრცელის მნიშვნელობით“.

◆ კონგრესის დაწყებამდე მოსამზადებელი მიტინგი გაუმართავთ და ამ მიტინგზე ვრცელი სიტყვა წარმოუთქვამს ჟორესს დრეიფუსის საქმის გამო.

„ჩვენი მიზანია ადამიანის განთავისუფლება პოლიტიკურად, გონებრივად და ეკონომიურადაო“, უთქვამს ორატორს და შემდეგ გადასულა პირდაპირ დრეიფუსის საქმეზე.

„ბრალს მდებენ, რომ დაჟინებით ვსცდილობ განვაახლო უკვე გათავებული საქმე. ეს საქმე გათავებული იქმნებოდა მონობისა და სიცრუის ქვეყანაში, ჩვენ კი გვაქვს პატივი ვეკუთვნოთ საფრანგეთს, რომელსაც აღელვებს ყოველი ნიავი სამართლიანობისა, ყოველი კეთილშობილური აზრი. იმ საქმეს, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, ვერ მოსპობს ვერც უსამართლობა და ვერც დაქანცვა. იგი მხოლოდ მაშინ გათავდება, როცა უდანაშაულოს თავისუფლებას დაუბრუნებენ და დამნაშავეთ სამარცხვინო ბეჭედს დააკრავენ. მეუბნებიან, რომ არ უნდა დამეწყო საქმე იმ დროს, როცა სამინისტრო გართულია კონგრეგაციებთან ბრძოლაში—სამინისტროს ხელი არ უნდა შეუშალოო. ჩემის აზრით, სამინისტროს არავინ ისე არ ეხმარება კონგრეგაციებთან ბრძოლაში, როგორც ჩვენ. მაგრამ რა უნდა მოჰყვეს ასეთ ბრძოლას, თუ ინტრიგებს წინ არ აღვუდგებით. კლერიკალების სინიდისს არა საპატიებელი ცოდვები აწევს; დოკუმენტების ხოხოლა შეადგინეს, სიყალბეს-სიყალბეზე სჩადიოდნენ და ეხლა ჰბედვენ ჩვენ დაგვწამონ სიყალბე“.

სხვათა შორის ერთ მსმენელთაგანს ეკითხა ჟორესისათვის, თუ რამდენად სასარგებლოა საქმის განახლება საფრანგეთის საერთაშორისო მდგომარეობისათვის. „განათლებულ საზოგადოებაშიო, უპასუხნია ჟორესს, სახლიდან გამოსვლამდე და საზოგადოებაში შერევამდე ხელსა და პირს იბანენ. და ჩვენი სურვილიც ის არის, რომ საფრანგეთმა პირი დაიბანოს....

თუ გვინდა, რომ აღვადგინოთ საფრანგეთის წინანდელი ძლიერება, იგი უნდა იყოს კეთილშობილი, მშვენიერი და ამაყი, იდეალურ სამართლიანობის შარავანდედით მოსილი.“

აქ კიდევ შეაწყვეტინეს ჟორესს ლაპარაკი და შეეკითხნენ.

— პირდაპირ გვითხარით—დამნაშავეა თუ არა?

— თუ თქვენი კითხვა ესტერჰაზის ეხება, გეტყვით, რომ დამნაშავეა. დრეიფუსი კი უბრალოა; ვამბობ ამას მთელ კაცობრიობასთან ერთად.

კრებამ დიდის ოვაციით დააჯილდოვა ორატორი.

ახალი ამბავი

◆ ამ ცოტა ხანში უმაღლესი მთავრობა განიხილავს საკითხს ტფილისში **საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის დაარსების** შესახებ. როგორც გავიგეთ, ერთი აქაური მილიონერი მომავალ პოლიტეხნიკუმის შენობისთვის სწირავს 600 ათას მანეთს, 100 ათასსაც სტიპენდიებისათვის.

◆ როგორც პეტერბურგიდან გვატყობინებენ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სატეხნიკო კომიტეტს განუხილავს და დაუმტკიცებია „უნიონის“ საზოგადოების მიერ შედგენილი და ქალაქის გამგეობისაგან წარდგენილი პროექტი ტფილისის **ელექტრონით** განათებისა.

◆ კავკასიის სამკურნალო საზოგადოების თხოვნით, ტფილის.-გუბერნატორმა მიჰმართა ქართლ-კახეთ-იმერეთის სასინოდო კანტორას, სომეხ გრიგორიანთა სასულიერო კონსისტორიას და მაჰმადიანთა სასულიერო მმართველობას და წინადადება მისცა ეცადნენ ხალხში სამკურნალო საზოგადოების მიერ ადგილობრივ ენებზე გამოცემულ **პოპულიარ სამკურნალო წიგნაკების გავრცელებას**. წიგნაკების გავრცელება გუბერნატორმა დაავალა აგრეთვე სამაზრო ადმინისტრაციასაც.

◆ მთავრობამ გადასწყვიტა **საგარეჯოსთან რუსთა სოფელი გააშენოს**. ამისთვის ამ გაზაფხულზე ექიმებსა ჰგზავნიან იქ ადგილების დასათვალიერებლად.

◆ დღეს, 10 აპრილს, ქართულ თეატრში **წარმოდგენა-კონცერტია**. ტასო აბაშიძის, ჩერქეზიშვილისა, რომანიშვილისა, ლეჟავას, იმედაშვილის, გოცირიძის და სხვათა მონაწილეობით წარმოადგენენ „პარიზელ ბიჭს“ და „უბედურ დებიუტს“. საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობას იღებენ ქ-ნი შულგინისა, ბ-ნნი ნიკოლაევი, ვილშაუ, პოლივკა, კესნერი და კავსაძე.

◆ 7 აპრილს რკინის გზის სახელოსნოებთან ვიღაც ბოროტ-მოქმედთ **გაუქურდავთ სიფხიზლის საზოგადოების თეატრი**. წაუღიათ ტანისამოსი, დეკორაციები, შანდლების სამოვრები, ხალიჩები, ბუთაფორის ნივთები და სხვ., სულ 600 მანეთისა. ეჭვი ვერავიზე ვერ მიიტანეს, ჰფიქრობენ-კი, რომ ქურდს თეატრის მოწყობილობა კარგად უნდა სცოდნოდა. დროებით წარმოდგენების მართვა შეაჩერეს.

◆ დღეს, 10 აპრილს, ტფილისის მაზრაში მიდიან საგუბერნიო ექიმი ქიქოძე და იმისი თანაშემწე მაჰავარიანი კერძო **სასოფლო სამკურნალოების სარევიზიოდ**. ტფილისის მაზრიდან ექიმები სიღნაღის მაზრაში წავლენ.

◆ ტფილისის ქალაქის ახალ მოურავის თავ. **არღუთინსკი-დოლგორუკოვის** ავადმყოფობის გამო იმის თანამდებობის ასრულებას გუშინდლიდან დროებით შეუდგა გამგეობის წევრი შესტაკოვი..

◆ გუშინ, 9 აპრილს, **პეტერბურგს წავიდა** მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებული ბ-ნი მედვედევი.

◆ ერევნის საგუბერნიო ადმინისტრაციას გადაუწყვეტია ალაგიოზში გამართოს **თავშესაფარი კეთროვანთათვის**. ალაგიოზი მთა ადგილია. კეთროვანება ამიერ-კავკასიაში არსად ისე არ არის გავრცელებული, როგორც ერევნის გუბერნიაში. როგორც შეკრებილ ცნობებიდანა სჩანს, სამის წლის წინად მთელს გუბერნიაში 100 კეთროვანი ყოფილა. ეხლა-კი კეთროვანთა რიცხვი 300-მდე ასულა.

◆ ქბ. ქეთევან არსენიშვილისა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მის მიერ ნაცნობთა შორის შეგროვილ 60 მანეთიდან 45 მანეთი გაეგზავნა ავადმყოფ არტისტს ვლ. ალექსი-მესხიშვილს და 15 მან.—ქბ. დარია ლაზარაშვილს სტუდენტის ანდრონიკაშვილის გადასაცემად.

◆ ტფილისის საოსტატო ინსტიტუტის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ 15 აპრილს საარტისტო საზოგადოების თეატრში **გაიმართება წარმოდგენა**. მონაწილეობას სცენის მოყვარენი იღებენ. წარმოადგენენ რუსულად ოპერეტტეს „მასკოტას“.

◆ შარშან პეტერბურგიდან ერევნის გუბერნიაში გაჰგზავნეს **ექიმთა დასი** თვალით ავადმყოფთათვის (ტრახომა) შემწეობის აღმოსაჩენად. დასი მუშაობდა ჯერ ახალ ბაიაზეთისა და ნახიჩევნის მაზრებში, სადაც ეს ავადმყოფობა ძალიან არის გავრცელებული. ამ ჟამად დასი თვით ერევანშია, სადაც ერთ თვეს დარჩება და პეტერბურგს დაბრუნდება.

◆ ნუხის მაზრაში **შეუპყრიათ** ციმბირიდან გამოქცეული ალაჰვერდი-მაჰმედ-სალახ ოღლი, რომელსაც მკვლელობანი და ძარცვა-გლეჯა ჰბრალდება.

◆ ყაზახის მაზრაში **პოლიციას მოუკლავს** ხანკიში ბეგი და ალისკანდარ-ალი. ორივენი ციმბირიდან გამოქცეულნი იყვნენ. ციმბირში გაჰგზავნეს ამ სამის წლის წინად ბოქაულის თავ. აბაშიძის მოკვლისათვის.

◆ 8 აპრილს, ღამე, ტფილისში უეცრად **გარდაიცვალა** ტფილისის სამოსამართლო პალატის წევრი ა. ნ. კაჩაუნოვი.

◆ ტფილისის ვაჭართა მამასახლისად ნამყოფის ი. ა. **დავიდოვის** 25 წლის მოღვაწეობის დღესასწაულს ვაჭარნი გადაიხდიან 13 აპრილს ტფილისის საკრებულოს სადგომში.

◆ **8 აპრილს, ოლღას ქუჩაზე, ენიკოლოფოვის სახლთან, სადაც ცხენის რკინის გზის ვაგონები ჩერდება, მოჰკლეს სასტუმროს „როსიას“ (ნიკოლაევის ხიდთან არის) პატრონი ალექსანდრე ელიევი. მკვლელობა ასე მოხდა. ელიევს და სამ უცნობ კაცს ლაპარაკი მოსვლიათ, რომლის დროსაც ერთს უცნობს ამოუღია რევოლვერი, უსროლია ელიევისთვის და იქვე მოუკლავს. ხმაზე პოლიციელნი მისულან, უტაცნიათ ხელი მკვლელისთვის, წაურთმევიათ რევოლვერი და პოლიციაში წაუყვანიათ. მკვლელი აღმოჩნდა ყაზახის მცხოვრები, ოსი პოდპოლკოვნიკის შვილი ხოცისტოვი. პოლიციაში ხოცისტოვს უთქვამს: ეხლა ხან ჩამოვედი ტფილისში, ჩამოვრეკე გასასყიდად 150 სული საქონელი და ჩამოვხდი რიყეში, „დორიის“ სასტუმროში. ყაზახიდან წამოსვლის დროს წამოვიღე თან თამასუქი 140 მანეთის ასაღებად ტფილისის მცხოვრების ოდობზიძისაგან. ელიევი ოდობზიძის ნაცნობი ყოფილა. ელიევი რიყეზე მოვიდა ჩემთან თამასუქის თანხაზე მოსალაპარაკებლად. საღამოთი, ნასვამები, ელიევის რჩევით, კიროჩნის ქუჩაზე წავედით ერთ იმის ნაცნობთან ქეიფის განსაგრძობად. იქ ელიევთან სამი სხვა კაცი მოვიდა, ჩხუბი დამიწყეს, მე გამოვიქეცი, მაგრამ უკან გამომიდგნენ. ენიკოლოფოვის სახლთან დამეწივნენ, შემეშინდა მოკვლისა, ამიტომ ამოვიღე რევოლვერი და ვესროლე. გაჩხრეკის დროს ხოცისტოვს უპოვნეს 140 მანეთი და პასპორტი. მკვლელი დააპატიმრეს.**

◆ **სამტრედიიდან გვატყობინებენ: აღდგომის ღამეს, მეათე საათს, რამდენიმე შეიარაღებული და პირ-ჩამოფარებული კაცი თავს დაესხნენ გასაძარცვად აქაურ მცხოვრებს იორდანე სიხარულიძეს. ბოროტ-განმზრახველთ რამდენსამე ადგილას დასჭრეს სიხარულიძე ხანჯლებით; ერთი ამ ჭრილობათაგანი მეტად მძიმე აღმოჩნდა; ხანჯალი ქვემოდან ზევითკენ უტაკებიათ მუცელში და ფაშვიც გაუჭრიათ. დაჭრილი დაუყოვნებლივ ქუთაისს წაიყვანეს და აღდგომას, დილის 7 საათზე, ს. თოფურიას საავადმყოფოში მიიყვანეს, სადაც დაუყოვნებლივ შემწეობა აღმოუჩინეს. სიხარულიძე-**

რებას დავუკვირდი. აქამდე სულ იმასა ვფიქრობდი, რომ როგორც უმაღლეს წოდების წარმომადგენელს რაღაცა განსაკუთრებული უფლება მაქვს, შემწეობა ვითხოვო და რომ ეს უფლება ყოველთვის და აუცილებლად მაქვს, რანაირიც უნდა ვიყო, როგორც კაცი, როგორც ადამიანის პიროვნება. ეხლა-კი ეს აზრი თან-და-თან სასაცილოდ, ბავშურად და თითქმის მხეცურად მეჩვენა. ყველასთვის ერთნაირი საზოგადო აზნაურშვილურ კანიდან თავი გამოჰყო პიროვნებამ. ჩემს თავს სასტიკად მოვექეცი და გარშემო ცხოვრებას შეგნებით დავუწყე ცქერა. რამდენადაც ჩემში პიროვნება იღვიძებდა, ამავე დროს იმდენადვე იღვიძებდა სხვისა პიროვნების პატივისცემაც. ეს საინტერესო პროცესი განახლებისა პატარა ქვის, უჩინარ ბაცილის წყალობით აღიძრა ჩემში. ეს უჩინარი ბაცილა გაჩნდა ჩემში და მიშველა, შავი თეთრისაგან გამერჩია, კეთილი ავისაგან და სასარგებლო მავნებელისაგან.

ცხოვრებაც ხომ არას დროს არ აპატიებს კაცს სულის სისუსტეს, მაგრამ ეხლა, რაკი ჰხედავს, რომ ჩემში თვით-ცნობიერება იღვიძებს, უფრო კეთილის თვალით დამიწყო ყურება და დედა-შვილურის ალერსით მეუბნება:

— გაისარჯე, იშრომე, კრიტიკულ აზრს ნუ ჩააქრობ, მხნედ და ყოჩაღად გაიხედე წინა! თავდაპირველად კი ხელი აიღე იმ ფიქრზე, ვითომ გარშემო სულ მტრები გეხვიოს. ნუ გგონია, რომ ყველას, ვისაც შენს გვერდზე ცხოვრება ჰსურს და პატიოსნად იბრძვის ცხოვრების უფლებისათვის, შენთვის ავი ეწადოს. უმთავრესი მტერი, რომელსაც უნდა ებრძოლო, შენ თითონა ხარ, ესე იგი ის ნაწილია შენის არსებისა, რომელიც ყოველთვის გიშლიდა და ეხლაც გიშლის ფხიზლადა და თვალ ხილულად შეხედო ყველაფერს. სხვა ყველა მტრები კი,—თუ კი მართლა გყავს ეგეთი მტრები,—წვრიმალი მტრები არიან; ესენი სახსენებლები არც კი არიან, და ამათთან ბრძოლაც არაფრად არა ჰღირს. მედგრად იშრომე, გაისარჯე და ეცადე არ ჩამომრჩე, რადგან მე არა ვჩერდები და დაუდგომლად სულ წინ მივდივარ.

აი ამას მეუბნება ცხოვრება.

დ. შ.

საიდუმლო

(ჩეხოვისა)

დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკმა ნავაგინმა, დაბრუნდა რა დარბაზობიდან, აიღო ხელში სია ვიზიტიორებისა, რომელიც დერეფანში მაგიდაზე იდო სახელისა და გვარის მოსაწერად და შევიდა თავის კაბინეტში გაიხადა ტანთ, დალია ზელტერის წყალი, წამოგორდა ტახტზე და დაუწყო სიას კითხვა. როდესაც შუა ხელმოწერილამდე ჩავიდა, შეხტა, გაკვირვებისგან წაიფრუტუნა, მთლად განცვიფრებად გადაიქცა მისი სახე და მუხლზე ხელის დარტყმით წამოიყვირა:

— კიდევ! სწორედ საკვირველებაა! კიდევ! კიდევ მოუწერია ხელი ვიღაცა ფედიუკოვი! ეშმაკმა იცის და ქაჯმა ვინ ოხერია! კიდევ!.

სხვა მრავალ მოწერილ გვარებთან სიაზე იყო მოწერილი ვიღაცა ფედიუკოვის გვარიც. რა ფრინველი იყო ეს ფედიუკოვი—ნავაგინმა სრულიად არ იცოდა. ნავაგინმა წარმოიდგინა მთლად თავისი ნაცნობები, ნათესავები, ხელქვეითები, მოიგონა შორეული წარსული, მაგრამ ფედიუკოვის მგზავსი გვარიც კი ვერავინ მოიგონა.

გასაოცარი იყო ის, რომ ეს incognito — ფედიუკოვი უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში მუდამ ხელს აწერდა სიას ყოველ შობას და აღდგომას. ვინ იყო იგი, საიდან და ან რას წარმოადგენდა იგი—ეს არც თვით ნავაგინმა იცოდა, არც მისმა ცოლმა და არც მეკარემ.

— საკვირველებაა! ჰკვირობდა ნავაგინი და თან კაბინეტში გაივლ-გამოივლიდა. უცნაურია და გაუგებარი! აქ რაღაცაა.

დამიძახეთ აქ მეკარეს, დაიყვირა მან. უცნაურია, უცნაური! არა, მე მაინცა და მაინც გავიგებ, ვინ არის ეს ფედიუკოვი! გამიგონე, გრიგოლ, მიმართა შემოსულს მეკარეს,—კიდევ მოუწერია ხელი ი ვიღაც ფედიუკოვს! შენ ნახე იგი?

— არა ბატონო!..

— მაშ როგორ მოაწერა. მაშასადამე იყო იგი დერეფანში?

— არა, არ ყოფილა.

— მაშ ვინ უნდა იცოდეს? შენ, მგონი, მუდამ გძინავს ხოლმე დერეფანში! აბა მოიგონე: იქნება ვინმე უცნობი შემოვიდა დერეფანში? აბა იფიქრე!

— არა, ბატონო, უცნობი არავინ ყოფილა. ჩვენი მოხელეები იყვნენ, მათ აღმატებულებასთან ბარონესა მობრძანდა, იყვნენ აგრეთვე მღვდლები ჯვრით და სხვა არავინ ყოფილა...

— მაშ რა, უხილავად გამოცხადდა და ისე მოაწერა?

— არ ვიცი, ბატონო, მხოლოდ ფედიუკოვი კი არავინ ყოფილა. ამას, თუ გნებავთ, ხატის წინ დავიფიცავ...

— საკვირველებაა! არაფერი მესმის! უცნაურია! ჩაფიქრდა ნავაგინი.—სწორედ რომ სასაცილოა. აგერ ცამეტი წელიწადია მუდამ ხელს აწერს სიას და შენ კი ვერ გაგიგია, თუ ვინ არის ის? იქნება ვინმე ხუმრობს? იქნება რომელიმე მოხელე თავის გვართან ერთად ფედიუკოვსაც აწერს საოხუნჯოდ?

და ნავაგინმა დაუწყო ლირლიტი ფედიუკოვის ხელს. ისეთი არა ჩვეულებრივი, გაკვრითი და მასთან ბატური ხელი იყო, რომ არც ერთს დანარჩენ ხელს არა ჰგავდა. ფედიუკოვის გვარი მოწერილი იყო საგუბერნიო სეკრეტრის შტუჩკინის ქვემოდ, რომელიც ასეთი მხდალი და სულმდაბალი კაცი იყო, რომ შიშისაგან მოკვდებოდა, ასეთი თავხედური ხუმრობა რომ ჩაედინა.

— კიდევ მოუწერია ხელი იმ საიდუმლო პირს—ფედიუკოვს! ეუბნებოდა ნავაგინი ცოლს შესვლისათანავე. კიდევ ვერ გავიგე მისი ვინაობა! ნავაგინის მეუღლე შთაგონების მიმდევარი (სპირიტკა) იყო და ამისათვის ყოველ მოვლენას ბუნებაში ცხადს, თუ ბნელით მოცულს სულ უბრალოდ ხსნიდა ხოლმე.

— აქ გასაკვირველი არაფერია, სთქვა მან, აი შენ არა გჯერა და მე კი ვამბობდი და კვლავ კიდევ ვიტყვი: ბუნებაში ბევრი რამ არის არა ჩვეულებრივი და გაუგებარი, რომელსაც ჩვენი სუსტი გონება ვერასოდეს ვერ მიხვდება! მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ფედიუკოვი—სულია, რომელსაც შენ უყვარხარ... მე რომ შენ ალაგას ვიყო, უსათუოდ გამოვიწვევდი მას და ვკითხავდი თუ რა უნდა.

— სისულელეა, სისულელე!

ნავაგინი არ იყო ცრუმორწმუნე, მაგრამ ეს მოვლენა ისეთს საიდუმლოებას შეადგენდა მისთვის, რომ მის გონებას ძალა უნებურად ათასი ეშმაკური აზრები წარმოუდგა. მთელი საღამო იმაზედ ფიქრობდა, რომ ეს incognito

ძე მძიმე ავადმყოფად იწვს, ექიმებმა, თუმცა ჯერ უიმედობას არ აცხადებენ თურმე.

◆ ამ აღდგომების დღესასწაულების გამო ქალაქის გამგეობაში მუშაობა სწარმოებს დილის 9-დან ნაშუადღევის პირველ საათამდე.

◆ დღეს პირველი კრება ექნება საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც ქუჩების მოკირწყვლის საქმე აქვს ჩაბარებული.

რუსეთის ქრონიკა

◆ ათ წელიწადზე მეტი იქმნება, რაც განსაკუთრებული კომისია შესდგა სისხლის სამართლის დებულების გადასათვალიერებლად. კომისიას, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, დაუმთავრებია მუშაობა და გამოუცია ახალი დებულება სისხლის სამართლისა.

◆ ამავე კომისიას მინდობილი ჰქონდა ერთ საინტერესო საგნის გადაწყვეტა, სახელდობრ: საჭიროა თუ არ გამოიცეს ისეთი კანონი, რომლის ძალითაც შეიძლებოდეს ალკოჰოლიკების ძალით დამწყვდევა სამკურნალოებში. კომისიას ამ საგნის შესახებ არაფერი გადაუწყვეტია, მხოლოდ სასურველად უცვნია სისხლის სამართლის დებულების შევსება ორიოდ მუხლით. ამ მუხლების ძალით ის ალკოჰოლიკები, რომელნიც ბოროტმოქმედებას ჩაიდენენ, სასჯელის გადახდის შემდეგ შესაფერ სამკურნალოს მზრუნველობას უნდა გადაეცნენ. კომისიამ საჭიროდ დაინახა იუსტიციის სამინისტრომ შესაფერი შუამდგომლობა აღძრას სისხლის სამართლის დებულების ამ აზრით შევსების შესახებ.

◆ ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, 1 მაისიდან 30 სექტემბრამდე რკინის გზებზე მესამე კლასის ვაგონებით უფასოდ მგზავრობის ნება მიეცემათ: 1) დაბალ სასწავლებლების იმ მოსწავლეთ, რომელნიც საექსკურსიოდ წავლენ ქალაქს გარედ 50 ვერსის მანძილამდე და იმათთან მყოფ მასწავლებლებს და 2) ავადმყოფ ბავშვებს, რომელთაც საქველმოქმედო საზოგადოებანი საზაფხულო ახალშენებსა და სამკურნალო წყლებზე გაჰგზავნიან.

◆ ტომსკის უნივერსიტეტიდან სწავლის ფულის შეუტანლობისა გამო 173 სტუდენტი დაუთხოვნიათ.

— გზათა სამინისტროს აზრადა აქვს დააწესოს რკინის გზებზე ექიმის ახალი თანამდებობანი. ეს ექიმები თან უნდა გაჰყვნენ შორს მანძილზე მოსიარულე სახალხო მატარებლებს.

◆ გზათა მინისტრმა ნება დართო შესდგეს კომისია რკინის გზის მოსამსახურეთა შრომის განსაწესრიგებლად. კომისიაში ყველა რკინის გზის წარმომადგენელნი იქმნებიან მიწვეული.

პრესსა

„რუსსკ. მის“-ლის უკანასკნელ №-ში ბ-ნი ნ. რუბაკინი ახასიათებს რუსულ წიგნების გამოცემის ევოლიუციას უკანასკნელ წლებში. დიდად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ ხანად შესანიშნავად გაძლიერდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ შინაარსის წიგნების გამოცემის საქმე, დასკვნის ბ. რუბაკინი: შარშან, 1895 წელთან შედარებით, გამოიცა ამ გვარი წიგნი ხუთ-ჯერ მეტი. ავტორი ამბობს:

> ეს გარემოება შემთხვევითი არ არის და გამოწვეულია მკითხველთა მოთხოვნილებით; ამას გვიმტკიცებენ ბიბლიოთეკების ანგარიშებიც, რომელნიც ამბობენ, რომ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ შინაარსის წიგნებს ახლა ბევრად უფრო მეტს ჰკითხულობენ, ვიდრე წინად; ამტკიცებენ ხსენებულ გარემოებას აგრეთვე წიგნების ვაჭრობიც: ბოლო წლებში გამოვიდა და გასაღდა დიდ-ძალი წიგნი პოლიტიკურ ეკონომიისა და საზოგადოებრივ მეცნიერების შინაარსისა; ხან-და-ხან ითარგმნებოდა და გამოდიოდა ერთი და იგივე წიგნი ერთად რამდენსამე ქალაქში და სულ იყიდებოდა.

⁂

„ნოვ. ვრ.“-ია იტყობინება, რომ სახელმწიფო საბჭოში გადასწყდა საერობო რეფორმის მოხდენის საქმე რუსეთის დასავლეთ 9 გუბერნიაში — ვილნოს, ვიტებსკის, ვოლინის, გროდნოს, კიევის, კოვნოს, მინსკის, მოგილევისა და პოდოლსკისაში. განზრახულ დაწესებულებათ ერობის სახელი არ დაერქმებაო, ამბობს გაზეთი, რადგან ადგილობრივ საქმეთა გამგებლობა ისევ ადმინისტრაციის ხელში დარჩებაო. გაზეთი ნუგეშობს, რომ ეს რეფორმა დროებითი იქმნება და ახლო მომავალში ამ განაპირა ქვეყანასაც ეღირსება სრული საერობო თვით მმართველობა. თვით რეფორმის შინაარსს გაზეთი ასე გადმოგვცემს:

> საგუბერნიო და საერობო ქალაქებში დაარსდება საერობო საქმეთა კომიტეტები, რომლებშიაც ხმოსნებად ადგილობრივი მცხოვრებნიც იქმნებიან, მაგრამ მთავრობის დანიშვნით... საგუბერნიო და სამაზრო საერობო კრებათა და გამგეობათა მაგიერ ამ გუბერნიებში იქმნება საერობო დაწესებულებანი, რომელთა წევრებად იქმნებიან: 1) ადმინისტრაციის მხრით მთავრობის ყველა დაწესებულებათა წარმომადგენელნი, გუბერნატორების თავმჯდომარეობით საგუბერნიო კომიტეტში, და თავად-აზნაურთა მაზრის მარშლების თავმჯდომარეობით სამაზრო კომიტეტებში; 2) ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენელნი ყველა მაზრებიდან; ამათ გუბერნატორი აარჩევს განსაზღვრულ ცენზის მქონებელთაგან და შინაგან საქმეთა მინისტრი დაამტკიცებს; განზრახულია თითო მაზრიდან ორიდან ხუთამდე იყოს.

უეჭველია, ასეთი რეფორმა დროებითიაო, განაგრძობს გაზეთი; ეს გუბერნიები მზად არიან თვით-მმართველობისათვის და არავითარი საბუთი არა გვაქვს ისინი გამოვყოთ დანარჩენ რუსეთიდან. აღსანიშნავია, რომ ამ გუბერნიების სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა ყველა კომიტეტებმა დაადგინეს იშუამდგომლონ ერობის შემოღების შესახებაო, ხოლო ვოლინისამ პირდაპირ დაასახელა, რომ 1864 წლის საერობო დებულება ჩვენის გუბერნიისათვის საჭიროაო. დასასრულ „ნოვ. ვრ.“-ია ამბობს:

> ასეთი ერთსულოვნობა მთელის ამ მხარეს კომიტეტებისა ნათლად ამტკიცებს, რომ იქ შეგნებული აქვთ ერობის სარგებლობა და რომ ადგილობრივ კარგა ხანია დარწმუნდნენ შემდეგ უცილობელ გარემოებაში: ადგილობრივ საქმეთა რიგიანად წარმოება მხოლოდ თვით-მმართველობას შეუძლიან.

ბათუმის საქმეები

(უკანასკნელი არჩევნები)

დეპეშამ თავის დროზე ამცნო მკითხველს ბათუმის არჩევნების შედეგი. ქალაქის თავად კვლავ აირჩიეს ი. ზ. ანდრონიკაშვილი, გამგეობის წევრად გ. ი. ვოლსკი და მდივნად ი. ს. მესხი. ამგვარად დარჩა ისევ ძველი გამგეობა.

მე მსურს ახლა ცოტა დაწვრილებით გაცნობო მკითხველს თუ რა პირობებში მოხდა უკანასკნელი არჩევნები, რაგვარი იყო პარტიების მომზადება და რის იმედი ჰქონდა თვითეულ მათგანს.

ქართველები მოქმედებდნენ სრულიად მარტო და დამოუკიდებლად. უკანასკნელმა ხმოსნების არჩევნებმა მათ ნათლად დაანახვეს, რომ ბათუმში სხვისი იმედი ნაკლებად უნდა ჰქონდეს. რადგან ჩვენი თავის მეტი იმედი არავისი გვქონდა, ამიტომ აუცილებელი საჭირო შეიქმნა გამოგვერკვია ჩვენი საკუთარი ძალა. საქმე რომ მოვიანგარიშეთ, აღმოჩნდა რომ ნეტარ ხსენებული დრო ჩვენი საბჭოში შორს დარჩენილიყო. ვიგრძენით, რომ საქმე წავახდინეთ და ვიწყეთ „თითზე კბენანი.“ ჩვენი ბედი ბეწვზე ეკიდა. ერთ კენჭს შეეძლო ასე დაეტრიალებინა საქმე და ისეც. ისე არას დროს არ გვიგრძვნია ერთობის საჭიროება, როგორც ამ წამს. ქალაქის თავი ჯერ არ დაბრუნებულიყო და ეს უფრო გვირევდა ანგარიშს. და ამავე დროს რუსები კრებას კრებაზე მართავდნენ და კავშირს იჭერდნენ ყველასთან, ვინც-კი ქართველების დამარცხებას ხელს შეუწყობდა. წარმოიდგინეთ, მათი სურვილი ისე ძლიერი იყო, რომ თავის სხდომაზე ერთი ქართველიც კი მიიწვიეს, რადგან მისმა ქცევამ აფიქრებინა, რომ მათი თანამოაზრე უნდა ყოფილიყო. ხმა გავარდა, რუსებმა პირობა შეკრეს, სომხებთან და ბერძნებთან ერთად მოქმედებენო. ბ-ნი პალმი თავის უკანასკნელ ნაბეჭდში ასე ეთხოვებოდა თავის მკითხველს: до пріятнаго завтра-ო და დარწმუნებული იყო, რომ 24 მარტი ქართველებისთვის ვატერლო შეიქმნებოდა. რაც შეეხება ქალაქის თავს, სრული თანხმობა არსებობდა ქართველთა შორის და რადგან ცოტა რამ საფუძველი გვქონდა გვეფიქრა, რომ მას ვისიმე გარეშე კენჭიც დაეხმარებოდა, ამიტომ ბ. ანდრონიკაშვილის არჩევა სრულიად უზრუნველყოფილი გვეგონა. იგივე ითქმის ბ. მესხის შესახებ, რადგან იგი, როგორც ქალაქის მდივანი, იმდენად თავის ადგილზეა, რომ მას უეჭველად, ქართველებს გარდა, სხვაც ვინმე გამოუჩნდებოდა მომხრე. სულ სხვა მდგომარეობაში იყო ბ-ნ ვოლსკის კანდიდატურა. გარდა იმისა, რომ მისი მოღვაწეობა უცხოებს არ ეპიტნავებათ, მის შესახებ თვით ქართველთა შორის იჩინა თავი ძველმა უთანხმოებამ. ბ. ელიავას გარდა იქნება ხმოსანთა შორის სხვაც იყო ვინმე ბ. ვოლსკის უკმაყოფილო, მაგრამ იმ წუთს საქმე ეხებოდა არა მარტო პირადათ ვოლსკის. ჩვენ სხვა კანდიდატი არა გვყავდა, არც უკეთესი, არც უარესი და ვოლსკის კანდიდატურის უარყოფა, ან მისი გაშავება, ჩვენი დამარცხება იქნებოდა. უნდა გატეხილი ვთქვათ, ბ-ნმა ელიავამ გამოიჩინა ძნელად მოსალოდნელი, იმის მდგომარეობაში მყოფ ადამიანისთვის... ტაქტი: მიუხედავად კერძო უკმაყოფილებისა, რომელიც დიდი ხანია არსებობს მას და ბ-ნ ვოლსკის შორის, 24 მარტს მან ცხადათ, ისე რომ ყველამ დაინახა, თეთრი კენჭი მისცა ბ-ნ ვოლსკის. ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე და ტაშის ცემაც კი გამოიწვია. საზოგადოთ ჩვენში იშვიათია, რომ კაცმა პირადი ანტიპატია დასთმოს და არ ისარგებლოს მარჯვე შემთხვევით, რომ თავის მოპირდაპირეს ავნოს რამე.

ბ-ნ ვოლსკის არჩევანმა ხანგრძლივი აპლოდისმენტი გამოიწვია, თუმცა ერთი ნაწილი საზოგადოების (?) ამით ცდილობდა თავისი „შშშ“-ით დაეფარა საზოგადო სიხარული.

როგორც მოსალოდნელი იყო, 24 მარტის კრებას დიდძალი ხალხი მოაწყდა. ქალაქის მოურავმა გახსნა კრება. წაიკითხეს ხარჯთ-აღრიცხვის „იტოგები“. აღმოჩნდა, რომ მიმდინარე წელს შემოსავალს 400 ათას მანეთს მოელიან, ხოლო გასავალი 396 ათასი იქნება. განხილვით კი მთელი ხარჯთ-აღრიცხვა 17 და 20 მარტის კრებებზე მოისმინეს. ეს ორი კრება გაგრძელებათ ითვლება 10 მარტის კრებისა და მხოლოდ ბიუჯეტის განხილვას მოუნდა. მდივანმა წაიკითხა უშეცდებელი ოქმი, რომლის შემდეგ ქალაქის თავმა მოახსენა საბჭოს, თუ რას მიაღწია

ფედიუკოვი არის სული დიდი ხნის გარდაცვალებულის ჩინოვნიკისა, რომელიც დაეთხოვათ სამსახურიდან ნავაგინის წინაპართ და ეხლა იგი შთამომავლობას სამაგიეროს უხდიდა. იქნება ეს სული ნათესავია კანცელიარიის რომელიმე მოხელისა, რომელიც თვით ნავაგინს გამოუგდია სამსახურიდან, ან სული მისგან შეცდენილ და გაუპატიურებულ გასათხოვარ-ქალისა... მთელ დამეს ნავაგინს ძილში ელანდებოდა ბებერი და მასთან გამხმარი მოხელე გახუნებულ მუნდირში, ლიმონივით გაყვითლებული, ჯაგარ-თმიანი და ტყვიის მგზავსი თვალებით; მოხელე რაღასაც ამბობდა სამარისებური ხმით და იმუქრებოდა გამხმარი თითის ქნევით.

ნავაგინს კინაღამ ტვინის ანთება მოუვიდა. მთელი ორი კვირა გაჩუმებული იყო, იქუშებოდა, სულ მუდამ დადიოდა და ჰფიქრობდა. ბოლოს დასძლია თავის სკეპტიკურს თავმოყვარეობას და შესვლისთანავე ყრუთ უთხრა ცოლს:

— ზინა, გამოუხმე ფედიუკოვს!

ზინას გაეხარდა. მაშინვე უბრძანა მოეტანათ კარდონის ქაღალდი და ლამბაქი, მოისვა გვერდით მეუღლე და შეუდგა ღვთის მსახურების აღსრულებას. ფედიუკოვმა მათ დიდხანს არ აცდევინა...

— რა გინდა? ჩაეკითხა ნავაგინი.

— მოინანიე... მიუგო ლამბაქმა.

— რას წარმოადგენდი შენ ამ ქვეყნად?

— გზა-არეულს...

— აი, ხედავ! — ჩასჩურჩულა ცოლმა. — შენ კი არ გჯეროდა! ძალიან დიდხანს ებაასებოდა ნავაგინი ფედიუკოვს, შემდეგ გამოუხმო ნაპოლეონს, განიბალს, ასკოჩენკოს, თავის დედის-დას კლავდია ზახაროვნას და ყველა ესენი მოკლედ უპასუხებდნენ, მაგრამ პასუხები ღრმა აზროვანი და მასთან სწორენი იყვნენ. ნავაგინი მთელი ოთხი საათი იყო გაბმული ამ საქმეში და დაიძინა მოსვენებულმა და ბედნიერმა მით, რომ გაიცნო აქამომდე მისთვის უცნობი ახალი სამეფო. ამის შემდეგ იგი ყოველ დღე ახდენდა შთაგონებას და უხსნიდა საკრებულოში მოხელეებს, რომ ბუნებაში მრავალი რამ არის არა ჩვეულებრივი და გაუგებარი (საიდუმლო), რომელიც სრულიად უყურადღებოდ არის დატოვებული მეცნიერთაგან და კი უნდა მიექციათ მისთვის ყურადღება. ეხლა მისი ყურადღება მიიქციეს და სრულიად მოაჯადოვეს გიპნოტიზმმა, მედიუმიზმმა, ბიშოპიზმმა, სპირიტიზმმა და მისი გონება მოიცვა ხშირის ბურუსით და ისე გაიტაცა ყველა ამან, რომ იგი მთელი დღეობით განუწყვეტლივ კითხულობდა ან სპირიტიულს წიგნებს ან არა და ლამბაქების გამოკითხვასა და სტოლის ტრიალში ატარებდა დროს და სხვა-და-სხვა ბუნების საიდუმლო მოვლენათა ახსნაში. მისი მიბაძვით შთაგონებას მიჰყვნენ მისი ხელქვეითებიც და ისე გულმოდგინეთ, რომ ძველი ეკზეკუტორი ჰკუიდან შეიშალა და ასეთი დეპეშა გაჰგზავნა: „ჯოჯოხეთში. სახელმწიფო პალატა. ვგრძნობ, რომ არა წმინდა სულად უნდა გარდავიქმნე. რას ვიზამ? პასუხის ფული გადახდილია. ვასილი კრინოლინსკი.“

რამდენიმე ასეული წიგნაკი წაიკითხა შთაგონების შესახებ და ამის შემდეგ ნავაგინმა იგრძნო დიდი სურვილი ამ საგნის შესახებ რამეს დაწერისა. მთელი ხუთი თვე იჯდა და სთხზავდა და ბოლოს დასწერა ერთი უშველებელი რეფერატი ამ სათაურით „ჩემი აზრიც“. გაათავა ეს წერილი და გადასწყვიტა გაეგზავნა იგი სპირიტიულ ჟურნალში მოსათავსებლად.

სწორედ სახსოვარი იყო ნავაგინისათვის ეს დღე და დაუვიწყარიც. ნავაგინს კარგად ახსოვს, რომ ამ დაუვიწყარ დღეს მის კაბინეტში იმყოფებოდნენ სეკრეტარი, რომელიც სტატიას ათეთრებდა, და ადგილობრივი დიაკვანი, საქმისათვის მოსული. ნავაგინს სახე უბრწყინავდა. მან ღმობიერად, სიყვარულით გადაავლო თვალი თავის ნაშრომს, სისხო შინჯა — რამოდენა სივრცისა გამოვიდა იგი, ხელით გაკმაყოფილების ნიშნათ გაიღიმა და უთხრა სეკრეტარს:

— მე ვგონებ, ფილიპ სერგეიჩ, რომ უნდა დაიზღვეს, უფრო საიმედო იქნება გაგზავნა...

შემდეგ შეხედა დიაკვანს და უთხრა: თქვენ, ჩემო კარგო, საქმისათვის დაგიძახე. ჩემს უმცროს შვილს გიმნაზიაში ვაძლევ და საჭიროა ჩემთვის მეტრიკული მოწმობა; არ შეიძლება დავაჩქაროთ!

— ძალიან კარგი, თქვენო აღმატებულებავ! უთხრა დიაკვანმა და თავი დაუკრა. ძალიან კარგი! მესმის...

— არ შეიძლება ხვალისათვის მომიმზადოთ?

— კარგი, თქვენო აღმატებულებავ, იმედი გქონდეთ! ხვალ მზად გახლდებათ. ხვალ ვისმეს უბრძანეთ და გამოგზავნეთ ეკკლესიაში საღამოს ლოცვის წინ. მე იქ ვიქმნები. უბძანეთ იკითხონ ფედიუკოვი, მე ყოველთვის იქ გახლავართ ხოლმე...

— როგორ?! შეჰყვირა გაფითრებულმა ღენერალმა.

— ფედიუკოვი იკითხონ...

— თქვენ... თქვენ ხართ ფედიუკოვი?! თვალების დაჰყურებით ეუბნებოდა ნავაგინი.

— დიახ, ბატონო, ფედიუკოვი.

— თქვენ... თქვენ მოაწერეთ ხელი აღდგომა დღეს სიას?

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ, გატყდა დიაკვანი და შერცხვა. მე, თქვენო აღმატებულებავ, როდესაც ჯვრით დავდივართ ხოლმე, ყოველთვის ხელს ვაწერ ხოლმე სიას, დიდ-კაცებთან როცა მივდივართ... მე ძაან მიყვარს ეს... როდესაც კი სიას დავინახავ ხოლმე, უსათუოდ ერუანტელი დამივლის, ისე მინდა ჩემი გვარის მოწერაც...

მუნჯს და გამოჩერჩეტებულს ნავაგინს არაფერი არ ესმოდა, ვერაფერი გაეგო და ამ მდგომარეობაში მყოფი კაბინეტში დაანაბიჯებდა. იგი მიუახლოვდა კარს, შეახო ხელი მის არშიას, სამჯერ მარჯვენა ხელი გაიქნია, როგორც ბალეტის jeune premier-მა, ერთი დაუსტვინა, უაზროთ გაიღიმა და თითით რაღაც ნიშანი გამოხატა სივრცეში.

— მაშ ასე, — მე ემ წუთში გავგზავნი სტატიას, თქვენო აღმატებულებავ, სთქვა სეკრეტარმა.

ამ სიტყვებმა სრულიად გამოაფხიზლეს და დავიწყებიდან გამოიყვანეს ნავაგინი. მან უაზროდ შეხედა სეკრეტარს და დიაკვანს, მოაგონდა ყველაფერი, ფეხები ძალზედ დააბრახუნა და დანჯღრეულის მაღალის ხმით დაიყვირა:

— მომასვენეთ, დამანებეთ თავი! დამანებეთ თავი, მო-მა-სვენეთ, მე თქვენ გეუბნებით!.. არ გესმის, რა გინდათ ჩემგან?..

სეკრეტარი და დიაკვანი კაბინეტიდან გამოვიდნენ, ის კი ისევ ფეხებს აბრახუნებდა და ჰყვიროდა:

— დამანებეთ თავი, მომასვენეთ! არ გესმით? რა გინდათ ჩემგან? და-მა-ნებეთ თავი!.

ხლ. სოლოდაშვილი

პეტერბურგში ყოფნის დროს. დაახლოვებით მკითხველმა უკვე იცის, რომ საპორტო თანხადან სავაჭრო ზღვაოსნობის კომიტეტმა, რომლის თავმჯდომარედ ითვლება მისი უმაღლესობა ალექსანდრე მიხეილის ძე, ბათუმს მისცა 35 ათასი საავადმყოფოსთვის, 18 ათასი ელექტრონით განათებისთვის და რომ სხვა შუამდგომლობა ქალაქისა ზოგი ისეც ამ კომიტეტმა უნდა გადასწყვიტოს და ერთი მათგანი მინისტრთა კომიტეტში გადავა და გაზაფხულისავე სესიაში გადაწყდება. საზოგადოდ ბათუმის ქალაქის შუამდგომლობანი დაუკმაყოფილებელი არ დარჩებიან. შემდეგ ქალაქის თავის წინადადებისამებრ საბჭომ დაადგინა გაეგზავნოს უქვეშევრდომილესი მადლობის დეპეშა მის უმაღლესობას დიდ მთავარს ალექს. მიხ. ძეს იმ ყურადღებისათვის, რომლითაც იგი მოეპყრო ბათუმის საქმეებს.

როდესაც მიმდინარე საქმეები გათავდა, ქალაქის მოურავმა აიხსნა ჯაჭვი და გადასცა თავის მოადგილეს ბ-ნ ვოლსკის და თითონ გავიდა საბჭოს დარბაზიდან (კრებაზე აკლდა ხმოსანი გრიგოლსკი, რომელიც თავის საქმეებზე პეტერბურგში წასული) მაგრამ ყველას გვაოცებდა, რომ ხმოსანი თარუმოვი რადაც მიზეზით იგვიანებდა. წინა დღით ხმა დაიარა, რუს-სომეხთა შეერთებულმა პარტიამ გადასწყვიტა ბ. თარუმოვის ქალაქის თავად არჩევაო. მაგრამ ჯერ ძველები უნდათ გაუშვათ და მერე ახლებს აირჩევენო. ძველების გაშვებაში შეიძლება შეერთებულიყვნენ რუსები და სომხები, მაგრამ რომ ისინი საერთო კანდიდატებს ვერ იშოვნიდნენ და ქართველების უნებურად ვერ აირჩევდნენ, ეს ცხადი იყო ყველასათვის. დაიწყეს კანდიდატების დასახელება. დაასახელეს თარუმოვი, გრიგოლსკი და ადგილობრივი ვექილი ესსენი. მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ დაიდგამდა ყუთს: გრიგოლსკი და თარუმოვი კრებაზე არ დაესწრნენ და არც ვისმეს დაავალეს თანხმობის გამოცხადება, ხოლო ესსენს ცენზიც არა ჰქონდა. ამგვარად ყუთი დაუდგეს მხოლოდ ანდრონიკაშვილს. უმეტესობა მოურიდებლად აგდებდა თავის კენჭს,—სენტიმენტალიზმისთვის არავის ეცალა. დაიწყეს თვლა. გადაცილდა თუ არა 16 თეთრს და დაჰკრეს ტაში. ქალაქის თავს მდივანმა აცნობა არჩევნის შედეგი, რომელმაც მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს. მოწინააღმდეგეთა ბანაკი, ცოტა არ იყოს, შეკრთა. [illegible] შეშფოთდნენ, არ [illegible] მოელოდნენ ასეთ camouflit-ს. 18 თეთრი! განა ეს ზარდამცემი არ იყო?!

ბბ. ვოლსკის და მდივანს ერთად დაუდგეს ყუთები. პირველმა მიიღო 23 თეთრი! დაჰკრეს ტაში... დათვალეს მდივნის კენჭი—აქაც 23 თეთრი და კვლავ გაისმა აპლოდისმენტი!.. ცხადია, ამ ორ უკანასკნელს ქართველების გარდა სხვების კენჭი მიუღიათ.

წერილი სამეგრელოდან

„ახალი წიგნი“.—აბრეშუმის თესლის უვარგისობა და „ამხანაგობის“ დაუდევრობა.—დღეობები.

ჩვენ ხელთა გვაქვს ახალი წიგნი, რომელიც ამა 1903 წელში (თარიღი ასე გვაუწყებს) შემატა მეგრულ ლიტერატურას... წიგნი 100 გვერდს შეიცავს და... წიგნში ბევრნაირი ჭკუა-გონებისთვის სავარჯიშო მასალაა შეკრებილი...

დადგა მშვენიერი გაზაფხული. ბუნება ათასნაირად ირთვება-იკაზმება და მდიდრდება, მხოლოდ ადამიანის გონებას არა ეშველა-რა. ვერ იქნა და მრავალ-წლის გამოცდილებამ ვერ დაგვასწავლა, რომ გვიან გამონატანი აბრეშუმის თესლი აღარ ვარგა; რომ ისეთი კოლოფები, რომელიც ნოტიო ადგილებში აქვთ შენახული ვაჭრებს, თუ არ გვაზარალებს, ვერაფერს მოგვაკეთებინებს. არა, ხალხი ჯერ-ჯერობით რადაცას უცდის, თუმცა, ეჭვი არ არის, როდესაც იქნება უსათუოდ გამოიტანს და ჩვეულებრივ შრომა-ჯაფას არ ასცდება. საჭიროა „ამხანაგობებმა“ (ერთი ძველ-სენაკში არსებობს) ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას. რასაკვირველია, ძნელია, ცოტათი არ იყოს, გრენის თვითეულად ტარება და გაყიდვა სოფლებში, მაგრამ სამაგიეროდ ადვილია—სოფლებში კერძო პირების გაჩენა და მათთვის კოლოფების გაყიდვის მინდობა. ხალხიც უნდა დარწმუნდეს, რომ გვიან შეძენილი და იაფად-ნაყიდი თესლი უმეტესად არ ვარგა.

აქეთ აღდგომის მახლობელ დღეებში დღეობები იციან. ასეა სოფ. შხეფში (აღდგომის მესამე დღეს), ნატახტრს, თეკლათსა, ჭალადიდსა და სხვ. დღეობებისთვის მცხოვრებნი აღდგომაზედ მეტად ზრუნვენ. ყველაფერს, რაც ოჯახში აბადით, ჰყიდიან მხოლოდ იმიტომ, რომ სტუმრებს რიგიანად დაუხვდნენ. სტუმრებს-კი ყოველი ოჯახი, თუნდ მეტის მეტი ღარიბიც იყოს, უსათუოდ უნდა ელოდეს, ნაცნობ-უცნობი ერთად მთვრალის თავს მასპინძლის ოჯახში და მზის გადახრამდე მუქთად შეექცევა სადილს. მერმე-კი დღეობისგან გაბრუებულნი მიდიან „ჯვარში“, სადაც მრავალი საზოგადოება იკრიბება.

უგამარიონი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 აპრილი.

ჩისტოპოლი. გემების მიმოსვლა დაიწყო.

გოგლანდი. ფინლანდიის ნაპირი განთავისუფლდა ყინულისაგან.

კონსტანტინოპოლი. რუსეთის გემზე დღისით პანაშვიდი გადაიხადეს შჩერბინას სულის მოსახსენებლად; სადამოთი გემი სევასტოპოლისკენ წავიდა.

ბერლინი. „ფრანკფ. ცაიტ.“-ი იუწყება, რომ ბოლგარიის ეგზარხოსმა თავის ეპარქიებს მიჰმართა და მოუწოდა იმოქმედონ სარევოლიუციო მოძრაობის წინააღმდეგ.

ბერლინი. აღმოსავლეთ პრუსიიდან იუწყებიან: გუშინდელმა თოვლ-ბუქმა ბევრგან დიდი ზარალი მისცა ხალხსაო. რკინის გზებზე ბევრგან მოძრაობა შეწყდა. რამდენიმე მატარებელი სილეზიაში თოვლის ნამქერმა შეაყენა.

ვენა. თოვლ-ბუქმა ძლიერ წაახდინა ტელეგრაფისა და ტელეფონის მავთულები. ბევრგან მოძრაობა შეჩერებულია.

ცეტინიე. სამი დღის წინ უცნობმა ალბანელმა რევოლვერი ესროლა და დასჭრა სკუტარიში ორი ახლად დანიშნული მოსამართლე. დაჭრილები ცუდ მდგომარეობაში არიან.

ჰონგ-კონგი. ცნობა მოვიდა, რომ კუანგსის პროვინციაში ხალხი ათასობით იხოცება შიმშილისაგანაო.

კენიგსბერგი. კოპენჰაგენის გემი „ქრისტიან მე-IX“ ბორკჰოლმთან შეეჯახა რუსის გემს „პალტავას“, რომელიც უაილქნოდ იყო და წყალიც შესდიოდა. „ქრისტიან მე-IX“-ის შტურმანმა დიდ ქარიშხალსაც აღარ დაჰხედა და ნავით წავიდა რუსის გემთან და 7 კაცი გადაარჩინა. „პალტავა“ მაშინვე დაიძირა. გადარჩენილი ხალხი კენიგსბერგში მიიყვანეს და მერე სამშობლოში გაგზავნეს.

კალიში. ბუქი დადგა. რკინის გზებით მოძრაობა დაიწყო. ქარიშხალი თითქმის მთელ გუბერნიაში იყო. ტყესა და ბაღებს დიდი ზარალი მიეცათ.

ბერლინი. კოპენჰაგენის ახლო საშინელი თოვლ-ბუქი ამოვარდა. რკინის გზით მოძრაობა შეწყდა; ზელანდიისა და სამხრეთ შვეციაში ტელეფონებისა და ტელეგრაფის მავთულების მომეტებული ნაწილი დასწყვიტა.

რომი. „ტრიბუნა“ იუწყება: პრინეტიმ დღეს თხოვნა გამოგზავნა სამსახურიდან გადადგომის შესახებ.

სოფია. მაკედონიაში ბევრ ადგილას ვნების კვირასა და აღდგომას ღამით წირვა-ლოცვა აკრძალეს იმ აზრით, რომ ხალხს დემონსტრაციები ვერ მოეხდინა.

საევის რაზმს, მონასტრისაკენ გამვლელს, ოსმალებმა წრე შემოავლეს ცაპარევის ახლო. ძლიერი შეტაკება მოუვიდათ. საევი და რამდენიმე ჯარის კაცი მოკლეს.

დაიბეჭდა ბრძანება იმის შესახებ, რომ გენერალი პაპრიკოვი ჯარის ინსპექტორად დაინიშნა.

9 აპრილი

შალონი. მარნის დეპარტამენტის გენერალურმა საბჭომ კენჭის ერთი დაადგინა, სასურველია რომ რუსეთმა და ბელგიამ თვალსაჩინოდ დასწიონ საფრანგეთის ღვინოების შემოსატანი ბაჟი.

სირაკუზი. მოვიდ მეფე ედუარდი.

ლისაბონი მეფემ ინახულა 8 აპრილს რუსთა კრეისერი: „ადმირალი ნახიმოვი“.

ვერნი. აღდგომის პირველ დღეს დილის 7 საათზე მიწა იძრა.

სალონიკი. გუშინ საზღვარზე გადავიდა და ოსმალეთის ჯარის კაცთა რაზმს კარს შემოერტყა ერთი რაზმი, რომელიც 500 კაცისაგან შესდგებოდა. ამათგან ზოგს ბოლგარული მუნდირი ეცვა. ოსმალთა რაზმი, რომელთაც ისინი შეეტაკნენ, 30 კაცისაგან შესდგებოდა. ბრძოლა მრთელ დღეს გაგრძელდა. ოსმალებს ჯარი მოაშველეს რადოვიშიდან და სტრუმიციდან. რაზმი დამარცხდა და ოსმალებმა დიდხანს სდიეს გაქცეულთ.

კონსტანტინოპოლი. ამ ბოლოს დროს აქ რამდენიმე ალბანელი დატყვევებულ იქმნა. ილდიზ-კიოსკში სხვა-და-სხვა გასაფრთხილებელი ზომებია მიღებული. საეჭვო ხალხი აქედან განდევნილ იქმნენ. ალბანელთა წინამძღოლნი და დიდებულნი, რომელნიც აქ შეიკრიბნენ, ეხლა დაიშალნენ. პორტამ გადასწყვიტა გააძლიეროს ის 35 ბატალიონი, რომელთაც მიტროვიცაში, პრიზრენში და ფერიზოვიჩში მოიყარეს თავი. ნაბრძანებია, ერთის ან ორის რედიფთა დივიზიის მობილიზაცია მოახდინონ კონიაში. დიპლომატიურ წრეებში ეს საჭიროთ მიაჩნიათ და ჰფიქრობენ, რომ პორტას ასეთი საქციელი ამტკიცებს, რომ მას სურს ენერგიულად მიჰყოს ხელი ალბანელთა ოპოზიციის ჩაქრობას. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა მიჰყოს ხელი ალბანელთ წინააღმდეგ მოქმედებას უსკიუბის ვილაიეტში. აღდგომის დღესასწაულმა მონასტრის ვილაიეტში მშვიდათ ჩაიარა. ნაბრძანებია მოახდინონ სმირნის კორპუსის მობილიზაცია. სულ რედიფთა 24 ბატალიონია მოძრაობაში.

რომი. მეფემ მიიღო პრინეტის თხოვნა სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.

მოსკოვი. 7 აპრილს მოსკოვში მოვიდა ხელმწიფე მემკვიდრე.

ხელმწიფე იმპერატორის თანადასწრებით ხელმწიფე დედოფალს მიულოცეს სასახლის და ქალაქის ქალებმა, რომელთაც აქვთ უფლება სასახლეში შესვლისა. დედოფალს რუსული ტანსაცმელი ეცვა და თან ანდრიას ლენტი ჰქონდა შემორტყმული. მილოცვის დროს იქ დაესწრნენ ხელმწიფე მემკვიდრე, დიდი მთავარნი სერგეი ალექსანდრეს ძე და დიმიტრი პავლეს ძე, დიდი მთავრის მეუღლე ელისაბედ თეოდორეს ასული, დიდი მთავრის ქალიშვილი მარიამ პავლეს ასული, სამი უფროსი ქალი მათ უდიდებულესობათა და სასახლის მინისტრი.

— აღდგომის მეორე დღეს დიდ სასახლეში შეიკრიბნენ სამხედრო პირნი, სასახლის პოლიციის ჯარის კაცნი და მოსკოვის გუბერნიის თითო მაზრიდან თითო სათემო მამასახლისი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლის № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.)

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

განცხადებანი

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არა ღებულობს. (0—18)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»
კიოსკში,
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე. მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩის	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ესევე წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

ცინკოგრაფია
ტფილ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 872.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ფარმაცევტთა ამხანაგობა
ტფილისში
(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნიე ნომრების“ ქვეშ).
ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბორატორიისთვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის სღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელი საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვა.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. (100—20)

Дозв. ценз. Тифлисъ, 9 апрѣля, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)